საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაგუა ვლადიმერ ვლადიმერის ძე

გაგუა ვლადიმერ ვლადიმერის ძე (1. III. 1927, სოფ. კოტიანეთი, სენაკის მუნიციპ., –1982), პედაგოგი. პედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1975), პედ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1995), ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). 1951 დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი ფსიქოლ. განხრით. 1951–54 მუშაობდა თბილ. ქალთა 35-ე საშ. სკოლაში ფსიქოლ. და ლოგიკის მასწავლებლად. 1954-იდან ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ასპირანტია, 1957–59 – ჟურნ. „სკოლა და ცხოვრების“ პედ. განყ-ბის გამგე. 1959-იდან მუშაობდა თბილ. ს.-ს ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტში პედ. კათედრის დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, ინ-ტის რექტორად (1988–91); 1993-იდან ხელმძღვანელობდა ამავე ინ-ტის დიდაქტიკის ლაბორატორიას. დაჯილდოებულია ი. გოგებაშვილის მედლით (1990).

გ. იკვლევდა აღზრდის თეორ. და პედ. ისტ. საკითხებს, რასაც მიუძღვნა რამდენიმე მონოგრაფია, წიგნი და მრავალი სტატია.

თხზ.: შრომისმოყვარეობის აღზრდა უმცროს სასკოლო ასაკში, თბ., 1958; მოსწავლეთა შრომით-პოლიტექნიკური აღზრდა ოჯახში, თბ., 1961; სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმისშემდგომ საქართველოში, თბ., 1974; სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, თბ., 1982; იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.